აკაკი თოფურიას პირადი ფონდი

სამხრეთ …
ფონდი
Фонд 287 … 1 … შენ.
ед. хр № 164

სამხრეთ …
ფონდი
Фонд 287 … 1 … შენ.
ед. хр № 164

დასკანირებულია 7
16.01.2025

მუდმივი შენახვის
ПОСТОЯННОГО ХРАНЕНИЯ

23.

„[illegible]", 1986, 18/III, №29

# შეხვედრა უნივერსიტეტში

ამ დღეებში, უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის გაერთიანებული კათედრის გამგეს პროფესორ აკაკი თოფურიას დაბადების 70 და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. ეს ღირსსახსოვარი თარიღი აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, აკაკი თოფურიას დამსახურებაზე გულთბილად ილაპარაკეს ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ბ. ჯორბენაძემ, დოცენტმა ი. ქაფიაშვილმა, პროფესორებმა ალ. ღლონტმა, პ. კეკელიძემ, ა. ირემაძემ, დოცენტმა ჯ. ბერიშვილმა. იუბილარს მიესალმნენ მწერლები თ. ჯანგულაშვილი, ე. აქუბარდია, მასწავლებელი ე. ტაბიძე, სტუდენტი ქ. ლორია.

ომის ვეტერანთა თბილისის სექციის თავმჯდომარემ, თადარიგის გენერალ-მაიორმა ნ. თავართქილაძემ აკ. თოფურიას, როგორც ომის ვეტერანს, გადასცა ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის სიგელი, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა გ. მელიქიშვილმა — სამინისტროს სიგელი.

პროფ. აკ. თოფურიამ გულითადი მადლობა გადაუხადა სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომის მონაწილეებს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

ახლახან საუნივერსიტეტო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. ნ. ამაღლობელმა გულმხურვალედ მიულოცა აკაკი თოფურიას დაბადების თარიღი, გადასცა უნივერსიტეტის რექტორატის ადრესი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

, რომელსაც შენ სჭირდე-
ვითონ როგორი ხარ ახლა?
ინო უკვე დავაჟკაცებული,
ამოგერია?! მაგრამ ნათელი
ა რომ ეფინებოდა შენს
გრჩებოდა.
ტყვი როგორ გამოვიცვალე,
ი მამაკაცებზე ადრე ბერ-
ნს გვერდით დადგომა რომ
ს დედაშენი ვეგონები. გა-
იმითაც, რაც ჩემს თვა-
ანთია.
ობ, რა სწორად მოვიქეცით,
ერთმანეთს, თუნდაც იმი-
დე დაგვიბრუნდა და ძლივს
კონვერტზე...

893 წლის 25 სექტემბერი
ო ლუი!

ნველო, რაც ერთმანეთს და-
უი, უკვე ოცი წელია, რაც
ობ. თუ ცოცხალი ხარ და
ერილს, რომელსაც გიგზავ-
ა მზრუნველი ხალხი, ისევე,
ენ წერილებს; ალბათ მაპა-
ითქმის აღარ გახსოვარ. მე
განშორების მეორე დღეს.
არ ვიცოდი, როგორ მეარ-
ს გუშინ იყო, ლუი, გუშინ
მანეთს. დააკვირდი თარიღს
რომელსაც შენ ყურადღება
უშინ ტიროდი, ჩვენს ოთახ-
უსაზღვრო მწუხარებით მო-
საღამოს ბინდბუნდში ოდ-
ანჯარასთან შენი ცრემლები
ენენ. შენ ტიროდი, მე კი

ეზოს კუთხეში.

უცებ ატყდა ძაღლების ყეფა, ისინი ჩემს კარებთან შეგროვილიყვნენ და ყეფით იკლებდნენ იქაურობას. მათ უკან აქლოშინებული, აფორიაქებული ბავშვები მოაწყდნენ. მალე თითქმის მთელი სოფელი გაჩნდა ჩემს სახლთან. ისე მოზეიმე, გაოცეული სახით შეჰყურებდნენ ზარმაზარ ირემს, თითქოს მათ წინ ველურთა ბელადი ყოფილიყო.

ყველამ უკან დაიხია და გზა მისცა სანადიროდ გამოწყობილ, მტვერში ამოგანგლულ ცხენოსნებს, რომლებიც იარაღის ჟღარუნითა და მათრახის ტკაცუნით წინ მოიწევდნენ.

და მთელი ეს პროცესია ზარზეიმით შეჩერდა ჩემი სახლის წინ, მარეკები მწევრებს უკან ჩამწკრივებულიყვნენ და გამარჯვების ზარის შემოსაკრავად ემზადებოდნენ.

ბნელ კუთხეში მარტოდმარტო მიყუჟული ირემი არ ინძრეოდა. ბედს დამორჩილებული, გარინდული, სიკვდილს ან სიცოცხლეს ელოდა. ბრბოს მისი სისხლი სწყუროდა, ვხედავდი, როგორ უცახცახებდა ფერდები, უთრთოდა ყელი — ამ ჟინმორეულთა, გონებადაბნელებულთა საბოლოო მიზანი.

ერთი მთლად აჭარხლებული მონადირე ცხენიდან ჩამოხტა, სხარტი მოძრაობით ოქროთი მოჭედილი სანადირო დანა ამოიღო ბუდიდან. მწევრების ღრიანცელი კვლავ იკლებდა იქაურობას. უცბათ ხალხი გაჩუმდა, ყველა გაფაციცებული შეჰყურებდა ამ კაცს, კანტიკუნტად მოისმოდა ჩუმი შეძახილები და აღელვებული სიცილი.

ამ კაცმა ჩემს ეზოში შემოსვლა დააპირა. მომესალმა და ყვირილით მომმართა (რადგან მწევრების გნიასში სხვანაირად ვერ გამაგებინებდა):

— ხომ ნებას მომცემთ, ბატონო!

მაგრამ მე გზა გადავუღობე, ხელი ავწიე